პრეზიდენტი თომას ს. მონსონი

ცხოვრების სარბიელი

საიდან მოვდივართ? რატომ ვართ აქ? სად წავალთ ამ ცხოვრების შემდეგ? ეს საყოველთაო შეკითხვები აღარ არის უპასუხოდ დატოვებული.

ჩემო საყვარელო დებო და ძმებო, ამ დილით მე მინდა გესაუბროთ მარადიულ ჭეშმარიტებებზე, ეს ჭეშმარიტებები ჩვენ გვამდიდრებს და გვიკვლევს გზას სახლისაკენ.

ადამიანები ყველგან ჩქარობენ, რეაქტიული თვითმფრინავები მიისწრაფიან თავიანთი ძვირფასი ტვირთით კონტინენტებს და ოკეანეების გადაღმა, რომ ადამიანები დაესწრონ საქმიან შეხვედრებს, გააკეთონ სამუშაო, ისიამოვნონ შვებულებით და მოინახულონ ოჯახი. გზებზე, გზატკეცილებზე დასატრანსპორტო არტერიებზე, მოძრაობს მილიონობით ავტომობილებით, მილიონობით ადამიანებით სავსე, უსაზღვრო დინებით და უამრავი მიზეზებით ჩვენ გვეჩქარება ყოველ დღე საქმეებზე.

ამ არეულ ჩქარ ცხოვრებაში, ვფიქრობთ კი ოდესმე მედიტაციის პაუზაზე, ან ვფიქრობთ მარადიულ ჭეშმარიტებაზე?

მარადიულ ჭეშმარიტებებთან შედარებით, ყოველდღიური ცხოვრების საკითხები, ხშირად უმნიშვნელოა. რა გვექნება საუზმეზე? რა გადის ტელევიზორში საღამოს? რა ფერზე გადავღებოთ მისაღები ოთახი? შევიყვანოთ ჯონი ფეხბურთზე? ეს შეკითხვები და ბევრი სხვა მათნაირი კარგავენ თავის მნიშვნელობას, როდესაც დგება კრიზისი, როდესაც ისინი, რომლებიც გვიყვარს არიან დაშავებულები, როდესაც ავადმყოფობა მოდის ჯანმრთელ ოჯახში, როდესაც სიცოცხლის სანთელი ბუუტავს და მოდის სიბნელე. ჩვენი ფიქრები ამ დროს ხდება მკაფიო და ჩვენ ადვილად შეგვიძლია განვასხვავოთ თუ რა არის უმნიშვნელო და ტრივიალური.

ცოტა ხნის წინ, მე ვესტუმრე ქალს, რომელიც უკვე მეორე წელია ებრძვის სიცოცხლისთვის საშიშ დაავადებას, რომ, სანამ ავად გახდებოდა მისი დღეები სავსე იყო ისეთი საქმიანობით, როგორც სახლის სრულყოფილად დასუფთავება და ძვირფასი მშვენიერი ავეჯით სახლის შევსება, მან მითხრა, რომ ხარჯავდა კვირებს, რათა ეპოვა შესასვლელში დასაგებად სრულყოფილი ხალიჩა, რათა ეპოვა სრულყოფილი სარკე მისაღებში დივანთან დასაკიდად, კვირაში ორ ან სამჯერ დადიოდა საპარიკმახეროში ხარჯავდა ფულს და დროს მისი დიდი გარდერობის განახლებაში. მისი შვილიშვილები იშვიათად იყვნენ დაპატიჟებულები მასთან სახლში, რადგან ეშინოდა, რომ პატარა და დაუდევარი ხელები დაამსხვრევდნენ მის ქონებას.

და შემდეგ მას უთხრეს გასაოგნებელი და სატკივარი რამ, რომ მისი მიწიერი სიცოცხლე იყო საშიშროების ქვეშ და ძალიან მოკლე დრო ჰქონდა ამ ქვეყანაზე დარჩენილი. მან თქვა, როდესაც მოისმინა ექიმის დიაგნოზი, მისი ცხოვრების ფოკუსი გამკვეთრდა და მან მაშინვე მიხვდა, რომ, რაც დრო ჰქონდა დარჩენილი გაატარებდა მის ოჯახთან, მეგობრებთან და ცხოვრების ცენტრში, იქნებოდა სახარება, რადგან ეს იყო ყველაზე ძვირფასი მისთვის ცხოვრებაში.

ასეთი ნათელყოფის დრო, ადრე თუ გვიან მოდის ყოველი ჩვენგანის ცხოვრებაში, თუმცა ყოველთვის, არა ამ გზით ასეთი დრამატულ ვითარებებში.

მხსნელმა სთქვა:

„ნუ დაიუნჯებთ მიწაზე, სადაც ჩრჩილი და ჟანგი სპობს და სადაც ქურდები თხრიან და იპარავენ.

დაიუნჯეთ ცაში, სადაც არც ჩრჩილი და ჟანგი სპობს და სადაც არც ქურდები თხრიან და იპარავენ.

ვინაიდან, სადაც შენი საუნჯეა, შენი გულიც იქვე იქნება.“[1]

ჩვენ დროის, ყველაზე ღრმა გამოძახილი ჩვენი გაჭირვებისას ან ჩაფიქრებისას, ადამიანის სული მიმართავს ზეცას, ღვთიური პასუხისათვის, ცხოვრების ყველაზე დიდი შეკითხვით: *საიდან მოვედით? რატომ ვართ აქ? სად მივდივართ იმის შემდეგ, როდესაც დავტოვებთ ამ ცხოვრებას?*

ამ შეკითხვებზე პასუხი, არ მოიპოვება სამეცნიერო აკადემიურ წიგნებში, არც ინტერნეტში, ან შემთხვევითი პასუხების გადარჩევით. ეს შეკითხვები ცდება მოკვდავებას. ისინი მოიცავენ მარადიულობას.

საიდან მოვედით? ამ შეკითხვაზე აუცილებლად ფიქრობს, თუ არ საუბრობს ყოველი ადამიანი

მოციქულმა პავლემ ათენელებს უთხრა აეროპაგუსის გორაზე, რომ „ღვთის მოდგმა ვართ.“[2] რადგან ვიცით, რომ ჩვენი მოკვდავი სხეული არის ჩვენი მიწიერი მშობლების შთამომავლობა, უნდა ჩავწვდეთ პავლეს განცხადების აზრს. უფალმა გამოაცხადა რომ, „სული და სხეული არის ადამიანის არსი.“[3] ეს არის სული, რომელიც არის ღმერთის შთამომავლობა. ებრაელთა მწერალი მოიხსენიებს მას, როგორც „სულთა მამა.“[4] ყველა ადამიანის სულები არიან სრული მნიშვნელობით მისი შობილი „შვილები და ქალიშვილები.“[5]

ჩვენ შევნიშნეთ, რომ შთაგონებულ პოეტებს აქვთ დაწერილი ძლიერი მოწოდებები და ტრანსცენდენტული მოსაზრებები. ვილიამ ვორდსვორთმა დაწერა სიმართლე:

ჩვენი დაბადება არის ძილი
და მივიწყება
სული, რომელიც ჩვენთან
ერთად იბადება არის,
როგორც ვარსკვლავი,
იყო მანამდე, სანამ
გავჩნდებოდით,
და მოდის შორიდან
არ გვაქვს ყველაფერი
დავიწყებული,
და არც მთლიანად არ ვართ
მოუმზადებლები,
რადგან ყოველი ჩვენგანი
იბადება ღვთაებრიობის
ნაწილით ჩვენში
არის ღმერთისგან, რომელიც
სახლია ჩვენი
ზეცა ახლოა ჩვენში ბავშვობის
ჟამს![6]

მშობლები ფიქრობენ თავიანთ აღმზრდელობით, შთაგონებისა და მიმართულების მიცემის პასუხისმგებლობაზე თავიანთი შვილებისთვის. ამასობაში, სანამ მშობლები ფიქრობენ, ბავშვები, განსაკუთრებით ყმაწვილები ეკითხებიან პირდაპირ შეკითხვებს, „რატომ ვართ აქ?“ როგორც წესი ეს წარმოითქმება სულით და ამბობს ასე „რატომ ვარ მე აქ?“

როგორი მადლიერები უნდა ვიყოთ, რომ ბრძენმა შემქმნელმა შექმნა დედამიწა და აქ გაგვაჩინა წინა ცხოვრებისაგან, დავიწყების ფარდით, რომ შევძლოთ ამქვეყნად გავიაროთ გამოცდის ჟამი, შესაძლებლობა, რათა დაუმტკიცოთ ჩვენს თავს, რომ ვართ ღირსეულები ყველაფერისათვის, რაც ღმერთს აქვს მომზადებული ჩვენთვის მოსაცემად.

ნათელია, ერთი უმთავრესი მიზანი, რატომაც ჩვენ ვარსებობთ აქ დედამიწაზე, არის ხორციელი და ძვლებიანი სხეულის მიღება. ჩვენ ასევე მოგვეცა არჩევანის თავისუფლება. ჩვენ გვაქვს პრივილეგია, რომ ათასნაირად გავაკეთოთ არჩევანი ჩვენთვის. აქ ვსწავლობთ, პირადი მძიმე გამოცდილებით. ვანსხვავებთ ბოროტსა და კეთილს, მწარეს და ტკბილს. ჩვენ აღმოვაჩენთ, რომ ჩვენ ქმედებებს მოაქვს შედეგები.

ღმერთის მცნებებისადმი მორჩილებით, ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ ღირსეული იმ „სახლისთვის“ რომელზეც სთქვა იესომ, როდესაც გამოაცხადა: „ჩემი მამის სახლში ბევრი სავანეა . . . მე მივდივარ, რათა ადგილი გაგიმზადოთ . . . რათა, სადაც მე ვარ, თქვენც იქ იყოთ.“[7]

მიუხედავად იმისა რომ ცხოვრებაში მოვდივართ “დიდადი შუქის ღრუბლებში.”

ღმერთი, ჩვენმა მამაზეციერმა და იესო ქრისტემ, ჩვენმა უფალმა, დაგვისახეს გზა სრულყოფილებისაკენ. ისინი გვეპატიჟებიან, რომ მივყვეთ მარადიულ ჭეშმარიტებებს და გავხდეთ სრულყოფილი, როგორი სრულყოფილებიც არიან თვითონ.[8]

მოციქულმა პავლემ ცხოვრება ნათლად დასახული მიზნით შეადარა სარბიელს. ებრაელებს მან უთხრა, „ჩამოვიცილოთ . . . დამაბრკოლებელი ცოდვა, და მოთმინებით გავირბინოთ ჩვენს წინ მდებარე სარბიელი.“[9]

ჩვენს ენთუზიაზმში არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, ბრძენი ეკლესიასტის რჩევა: „არც მკვირცხლებს აქვთ წარმატება სირბილში და არც მამაცებს — ომში.“[10] სინამდვილეში პრიზს იღებს ის, ვინც უძლებს ბოლომდე.

როდესაც მე ვსაუბრობ ცხოვრებისეულ სარბიელზე, მე მახსენდება კიდევ სხვანაირი სარბიელიც. როდესაც ვიყავი დაახლოებით 10 წლის, ჩემი მეგობრები და მე ჯიბის დანებით და რბილი ტირიფის ხისგან, ვთლიდით პატარა ნავებს. სამკუთხედი ნაჭრისგან გაკეთებული იალქანით ჩავუშვებდით ნავებს შესაჯიბრებლად პროვოს აბობოქრებულ მდინარეში. ჩვენ მივრბოდით მდინარის ნაპირის გასწვრივ და ვუყურებდით ჩვენს პატარა ნავებს, რომლებსაც ხანდახან დინება დაუნდობლად ახტუნავებდა, ხანდახან წყნარად მიცურავდნენ მდინარის სიღრმეში.

ერთხელ ასეთი ნავების რბოლის დროს, ჩვენ შევნიშნეთ, რომ ერთი ნავი ასწრებდა ყველა დანარჩენს, ფინიშის ხაზამდე. მოულოდნელად, დინებამ ის ახლოს მიიყვანა მდინარის დიდ მორევთან, ნავი გადაწვა მის მხარეს და მორევმა ჩაითრია. ატრიალა და ატრიალა ნავი, რომელიც ვეღარ უბრუნდებოდა დინებას. ბოლოს ნავი ჩაიძირა მორევის შუაში დანარჩენ ნამტვრევებთან ერთად, რომელიც მის გარშემო ტრიალებდნენ.

ბავშვობის დროინდელი სათამაშო ნავებს არ ჰქონდათ კილი სტაბილურობისათვის. არც საჭე მიმართულების მისაღებად და არც ენერგიის წყარო. მათი გარდაუვალი მიმართულება იყო მდინარის დინება, უმცირესი წინააღმდეგობით აღებული გეზი.

სათამაშო ნავებისაგან განსხვავებით, ჩვენ გვაქვს ღვთიური ატრიბუტები, რომ გავუძღვეთ ჩვენს მოგზაურობას. ჩვენ ვიწყებთ მოკვდავ ცხოვრებას არა იმიტომ, რომ ცხოვრების დინებას ტივტივით მივყვეთ, არამედ გონების ძალით, განსჯით და მიზნებით.

ჩვენმა მამაზეციერმა არ გაგვიშვა მარადიულ მოგზაურობაში იმ საშუალებების გარეშე, რითაც ჩვენ მივიღებთ მისგან მითითებებს, რომ უზრუნველყოს ჩვენი უსაფრთხოდ უკან დაბრუნება. მე ვგულისხმობ ლოცვას, მე ვგულისხმობ ასევე ჩურჩულით ნათქვამ წყნარ დაბალ ხმას და არ ვივიწყებ წმინდა წერილებს, რომელიც მოიცავს უფალის და წინასწარმეტყველების სიტყვებს, რომელიც მოგვეცა, იმისათვის, რომ წარმატებით მივაღწიოთ ფინიშის ხაზს.

ჩვენი მოკვდავი ცხოვრების მისიიდან მძიმდება ნაბიჯები, ძნელდება ღიმილი, ავადმყოფობის ტკივილი, მიდის ახალგაზრდობა და მოდის შემოდგომა, შემდეგ ზამთრის ყინვა და შემდეგ, რასაც ჩვენ ვეძახით სიკვდილი.

ყველა გულისხმიერ ადამიანს დაუსვავს თავისათვის შეკითხვა, რომელიც ყველაზე კარგად იობმა სთქვა „როცა მოკვდება კაცი, განა გაცოცხლდება?“[11] ჩვენ შეგვიძლია შევეცადოთ მოვიცილოთ ეს კითხვა თავიდან ის ყოველთვის უკან დაგვიბრუნდება. სიკვდილი მოდის ყველასთან. ის მოდის დასუსტებულ მოხუცებთან, როდესაც დადიან დასუსტებული ნაბიჯით, ხანდახან მისი ძახილი ესმით მათ, რომლებმაც ძლივს მიაღწიეს სიცოცხლის ნახევარს, ხანდახან აჩუმებს პატარა ბავშვების სიცილს.

მაგრამ რა არის სიკვდილის იქით? არის სიკვდილი ყველაფრის დასასრული? რობერტ ბლატფორდმა მის წიგნში ღმერთი და ჩემი მეზობელი, მწვავედ აკრიტიკებდა ქრისტიანულ რწმენას, როგორიც არის ღმერთი, ქრისტე, ლოცვა და განსაკუთრებით უკვდავება. ის ამტკიცებდა რომ სიკვდილი იყო ჩენი არსებობის დასასრული, რომ არავის არ შეუძლია დაამტკიცოს საწინააღმდეგო. შემდეგ გასაოცარი რამ მოხდა. მისი სკეპტიციზმის კედელი გაცამტვერდა, დარჩა გამოაშკარავებული და დაუცველი, ნელ-მელა მობრუნდა უკან რწმენისაკენ, რომელსაც დასცინოდა და აბუჩად იგდებდა, რამ გამოიწვია მისი ასეთი ცვლილება? მისი მეუღლე გარდაიცვალა, გატეხილი გულით ის შევიდა ოთახში სადაც მისი მეუღლის მოკვდავი იმყოფებოდა, შეხედა იმ სახეს რომელიც ასედ უყვარდა, გამოსვლისას უთხრა თავის მეგობარს „ის არის მაგრამ ის არ არის, ის რაც მას ჰქონდა მანამდე წართმეულ იქნა, ის იგივე აღარ არის, რა შეიძლებოდა წასულიყო რომ არა სული?”

მოგვიანებით მან დაწერა, „სიკვდილი ის არ არის რაც ზოგიერთ ადამიანებს ჰგონიათ. ეს არის როგორც მეორე ოთახში გასვლა, იმ მეორე ოთახში ჩვენ ვიპოვით. . . საყვარელ ადამიანებს რომლებიც დავკარგეთ.“[12]

ჩემო ძმებო და დებო, ჩვენ ვიცით რომ სიკვდილი არ არის დასასრული. ეს ჭეშმარიტება გვასწავლეს ცოცხალმა წინასწარმეტყველებმა საუკუნეების განმავლობაში. პასუხი შეგვიძლია ვიპოვოთ წმინდა წერილებში. მორმონის წიგნიდან ჩვენი პასუხი არის კონკრეტული და გვაძლევს ამ დამაწყნარებელ სიტყვებს:

„და ეხლა, სულის შესახებ, სიკვდილსა და აღდგომას შორის, აჰა, ეს მაცნო ანგელოზმა, რომ ადამიანთა სულები, მაშინ როდესაც ტოვებენ მოკვდავ სხეულებს, დაიხ ყველა ადამიანთა სულები, როგორიც არ უნდა იყოს კეთილი თუ ბოროტი, წაიყვანენ ღმერთთან სახლში, რომელმაც მისცა მათ სიცოცხლე.

და იქნება ეს ასე, რომ სულები რომლებიც არიან სამართლიანი, დარჩებიან ბედნიერად, რასაც უწოდებენ სამოთხეს, ადგილი დასვენების და სიმშვიდის, სადაც ისინი დაისვენებენ ყველა დარდისაგან საზრუნავისაგან და მწუხარებისაგან.“[13]

იმის შემდეგ როდესაც იესოს სხეული იდო აკლდამაში სამი დღე, სული კვლავ შევიდა, და აღმსდგარი მხსნელი წამოდგა უკვდავი სხეულით, ძვლითა და ხორცით.

პასუხი იობის შეკითხვაზე, „როცა მოკვდება კაცი, განა გაცოცხლდება?“ მოვიდა როდესაც, მარიამი და სხვები მიუახლოვდნენ აკლდამას და დახვდათ ორი ადამიანი ნათელ სამოსელში, რომლებმაც უთხრეს: „რად ეძებთ ცოცხალს მკვდრებს შორის? არ არის აქ, არამედ აღდგა.“[14]

ქრისტეს მიერ საფლავზე გამარჯვების შედეგად, ჩვენ ყველანი აღვსდგებით. ეს არის სულის გამოსყიდვა. პავლე წერდა: „არის ციური სხეულების და არის მიწიერი სხეულები, მაგრამ ციურის დიდება სხვაა და მიწიერისა — სხვა.“[15]

ეს არის ცელესტიალური დიდება, რომელსაც ვეძებთ.

ეს არის ღმერთთან ყოფნა რისკენაც მივისწრაფით. ეს არის მარადიული ოჯახი, რისი წევრობაც გვინდა. ასეთი კურთხევებს სჭირდება დამსახურება.

საიდან მოვედით? რატომ ვართ აქ? სად მივდივართ ამ ცხოვრების შემდეგ? არ არის საჭირო ამ საყოველთაო შეკითხვების უპასუხოდ დატოვება. ჩვენი სულის სიღრმიდან მე მორჩილად ვამოწმებ, რომ ის სიტყვები რაზეც ვილაპარაკე არის ჭეშმარიტი.

ჩვენი მამაზეციერი ხარობს მათთვის, ვინც იცავს მის მცნებებს, ის წუხს გზააბნეულ ბავშვზე, მძიმე თინეიჯერზე, თვითრჯულ ახალგაზრდებზე, სამართალ დამრღვევ მშობელზე, მეუფე თბილად ეუბნება მათ და რათქმაუნდა ყველას, „მოდით ჩემთან დაბრუნდით სახლში, მოდით, მოდით, მოდით ჩემთან.“

ერთ კვირაში ჩენ ვზეიმობთ აღდგომას. ჩვენ ფიქრები სავსე იქნებაიქნებიან მხსნელის ცხოვრებაზე, მისი სიკვდილზე და აღდგომაზე, როგორც განსაკუთრებული მოწმე, მე გიზიარებთ ჩემ დამოწმებას, რომ ის ცოცხალია და ელოდება ჩვენ საზეიმო დაბრუნებას, ასეთი დაბრუნება იქნება ჩენი, მე ვლოცულობ მისი წმინდა სახელით, იესო ქრისტესი ჩვენი მხსნელის და გამომსყიდველის ამინ.

შენიშვნები

1. მათე 6:19–21.
2. ქმედებები 17:29.
3. მოძღვრება და აღთქმები 88:15.
4. ებრაელებს 12:9.
5. მოძღვრება და აღთქმები 76:24.
6. ვილიამ ვორდსვორთი, *Ode: Intimations of Immortality from Recollections of Early Childhood,* (1884), 23–24.
7. იოანე 14:2–3.
8. იხილეთ მათე 5:48; 3 ნეფი 12:48.
9. ებრაელებს 12:1.
10. ეკლესიასტი 9:11.
11. იობი 14:14.
12. იხილეთ რობერტ ბლატფორდი, *More Things in Heaven and Earth: Adventures in Quest of a Soul* (1925), 11.
13. ალმა 40:11–12.
14. ლუკა 24:5–6.
15. 1 კორინთიელებს 15:40.

სადღეისო სწავლება

მეოთხე კვირის მელქიცედეკის მღვდლობისა და მოწყალების საზოგადოების გაკვეთილები უნდა მიეძღვნას „სადღეისო სწავლებას.“ ყოველი გაკვეთილი შეიძლება მომზადდეს სულ ბოლოს ჩატარებული გენერალური კონფერენციის მასალების გამოყენებით (იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი). პალოსა და ოლქის პრეზიდენტებს შეუძლიათ თავად აირჩიონ გამოსვლა ან მისცენ ეს დავალება ეპისკოპოსებსა ან მრევლის პრეზიდენტებს. ხელმძღვანელებმა ხაზი უნდა გაუსვან თუ რამდენი მნიშვნელოვანია რომ მელქიცედეკის მღვდლობის ძმებმა და მოწყალების საზოგადოების დებმა შეისწავლონ იგივე გამოსვლები იმავე კვირებს.

მათ, ვინც მეოთხე კვირის გაკვეთილებს ესწრება, უნდა შეისწავლონ და გაკვეთილზე მოიტანონ ჟურნალებში გამოქვეყნებული ბოლო კონფერენციის მასალები.

რჩევები კონფერენციის მასალებით გაკვეთილების მოსამზადებლად

ილოცეთ მასზედ, რომ თქვენი კონფერენციების მასალების შესწავლისა და გადმოცემის დროს, სული წმინდა თქვენთან იმყოფებოდეს.

შესაძლოა გაგიჩნდეთ ცდუნება მოამზადოთ გაკვეთილი სხვა მასალების გამოყენებით, მაგრამ კონფერენციის გამოსვლები მოწონებულია სასწავლო პროგრამით. თქვენი დავალებაა დაეხმაროთ სხვებს ისწავლონ სახარება და იცხოვრონ მისი პრინციპების მიხედვით ისე, როგორც ეს გვასწავლეს ეკლესიის ბოლო გენერალურ კონფერენციაზე.

განიხილეთ გამოსვლები, ეძიეთ მათში ის პრინციპები და სწავლებანი, რომლებიც აკმაყოფილებენ მსმენელთა მოთხოვნილებებს. მოიძიეთ მოთხრობები, წმინდა წერილებზე მითითებანი და გამოსვლებიდან ის მტკიცებულებანი, რომლებიც დაგეხმარებათ ამ ჭეშმარიტებების სწავლებაში.

თქვენთვის შეადგინეთ გეგმა, თუ როგორ ასწავლოთ პრინციპები და მოძღვრება. ჩართეთ შეკითხვები, რომლებიც დაეხმარებიან მოწაფეებს:

- გამოსვლებში ეძიონ პრინციპები და სწავლებანი.
- იფიქრონ მათ მნიშვნელობაზე.
- გაუზიარონ სხვებს იდეები, გამოცდილება და დამოწმებანი.
- მოარგონ ეს პინციპები და სწავლებები მათ ცხოვრებას.

თვეები, რომლებშიც გაკვეთილები ტარდება	მეოთხე კვირის გაკვეთილის მასალა
აპრილი 2012–ოქტომბერი 2012	გამოსვლები 2012 წ. აპრილის გენერალურ კონფერენციაზე*
ოქტომბერი 2012–აპრილი 2013	გამოსვლები 2012წ. გენერალურ კონფერენციაზე*

**აპრილისი და ოქტომბრის მეოთხე კვირის გაკვეთილებისთვის გამოსვლები შესაძლოა შეირჩეს წინა ან სულ ბოლო კონფერენციიდან. ეს გამოსვლები ხელმისაწვდომია უამრავ ენაზე ვებ-გვერდზე conference.lds.org.*

© 2012 Intellectual Reserve, Inc. *ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია*: 6/11. *თარგმანი დამტკიცებულია*: 6/11. *თარგმანი First Presidency Message, May 2012.* Georgian. 10365 131

პრეზიდენტ ჰენრი ბ. აირინგის მიერ
პირველი პრეზიდენტობის პირველი მრჩეველი

დასალაშქრი მთები

თუ ჩვენ გვწამს იესო ქრისტესი, ცხოვრების ყველაზე მძიმე და ყველაზე ადვილი პერიოდიც დალოცვად იქცევა ჩვენთვის.

კონფერენციის სესიაზე მე გავიგონე, რომ პრეზიდენტმა სპენსერ ვ. კიმბალმა სთხოვა ღმერთს, მიეცა მისთვის დასალაშქრი მთები. მან თქვა: „ჩვენ წინ დიდი სირთულეები გვაქვს და გიგანტური სამუალებები გვეძლევა". მე მივესალმები ამ ამაღელვებელ ხედვას და მიჩნდება სურვილი მორჩილად ვუთხრა ღმერთს: „მომეცი მთა, მომეცი სირთულეები".[1]

გული ამიჩუყდა, რადგან მე ვიცოდი ზოგიერთი მისი სირთულეებისა და უბედურებების შესახებ და გამიჩნდა სურვილი დავემსგავსო მას, ღვთის გულად მსახურს. ერთხელ ღამე მე ვილოცე ჩემი სიმამაცის გამოსაცდელად. ეს ისე ცოცხლად მახსოვს. საღამოს მუხლი მოვიყარე საძინებელში. გული ისე აღვსილი მქონდა რწმენით, რომ მეგონა გამისკდებოდა.

ერთ თუ ორ დღეში მივიღე ლოცვაზე პასუხი. ჩემი ცხოვრების უმძიმესმა გამოცდამ გამაოცა და მორჩილებისკენ მიბიძგა. მე ორი გაკვეთილი ვისწავლე.

პირველი: მივიღე ნათელი დასტური იმაზედ, რომ ღმერთს ესმის ჩვენი ლოცვები და პასუხობს მათ. მეორე: მე დავიწყე იმის შესწავლა, თუ რატომ დავიჯერე იმ ღამით, რომ უბედურებას მოჰყვებოდა დალოცვა, რომელიც შეუფასებელი იქნებოდა.

უბედურება, რომელიც მაშინ თავს დამატყდა, ახლა არაფრად არ მეჩვენება იმასთან შედარებით, რაც მან მომავალში მე და ჩემს საყვარელ ადამიანებს მოგვიტანა. უამრავი თქვენთაგანი ახლა განიცდის ფიზიკურ, გონებრივ და ემოციურ სირთულეებს, რომელთა შედეგადაც თქვენ შეგეძლოთ წამოგეძახათ ისე, როგორც ეს ერთ-ერთმა ჩემმა ნაცნობმა ერთგულმა ღვთის მსახურმა ჩაიდინა. მისმა ექთანმა გაიგონა, როგორ წამოიყვირა მან ტკივილისგან: „როდესაც მთელი ცხოვრება ვცდილობდი პატიოსნად მეცხოვრა, რატომ დამემართა ეს"?

თქვენ იცით, რა უპასუხა უფალმა წინასწარმეტყველ იოსებ სმითს საკანში ყოფნისას:

„და თუ ორმოში ან მტრის ხელში ჩაგაგდებენ და გამოგიტანენ სასიკვდილო განაჩენს; თუ უბსკრულში გადაგაგდეს; თუ ტალღა დაგატყდა თავს; თუ მძვინვარე ქარი მტრად გადაგეკიდა; თუ ზეცამ დააგროვა სიბნელე და ყველა სტიქია გადაგეღობა გზაზე; და მეტიც: თვით ჯოჯოხეთი თუ გააღებს პირს შენს ჩასაყლაპად იცოდე, შვილო ჩემო, რომ ყოველივე ეს გამოცდილებას შეგძენს და შენს საკეთილდღეოდ გადაიქცევა.

„კაცთა ძემ დაიმდაბლა მათთვის თავი. შენ მასზე მეტი ხარ?

„ასე რომ, არ გადაუხვიო არჩეულ გზას, და მღვდლობა იქნება შენთან; რამეთუ საზღვარი მონიშნულია და ისინი ვერ გადალახავენ მას. შენი დღეები განსაზღრულია, და არ მოგაკლდება წლები; ასე რომ ნუ შეგაშინებს ის, რაც კაცს შეუძლია ჩაიდინოს, რამეთუ ღმერთი არს შენთან აწ და მარადის".[2]

ჩემი აზრით უფალზე კარგად ვერავინ ვერ გაგვცემს პასუხს კითხვაზე, თუ რატომ დაგვატყდა თავს უბედურება და რა უნდა ვაკეთოთ ამ დროს. მან ხომ წარმოუდგენელი ტანჯვა გაიარა ჩვენი გულისთვის.

თქვენ გეხსომებათ, როგორ გვირჩია მან მოვინანიოთ მისი რწმენის გამო:

„მაშასადამე გეუბნებით, რომ უნდა მოინანიოთ. მოინანიეთ, რათა არ დაგატყდეთ თავს ჩემი სიტყვის ძალით და ჩემი რისხვით, და მწარე იქნება თქვენი ტანჯვა; რაოდენ მწარე არ იცით, არ იცით, რაოდენ გამორჩეული, დიახ, არც ის იცით, რაოდენ მძიმე საზიდი.

„რამეთუ მე, ღმერთმა, ავიტანე ყოველივე ეს ადამიანების გამო, რათა არ ეტანჯათ მათ, თუკი მოინანიებდნენ;

„მაგრამ თუ არ მოინანიებენ, უნდა დაიტანჯონ ისე, როგორც მე დავიტანჯე;

„ისეთი ტანჯვით, რომელმაც მე, ღმერთი, ყველაზე დიადი დიადთა შორის, ტკივილისგან შემძრა, და ყოველი ფორიდან სისხლი მადინა, მაწამა, როგორც სულით, ისევე ხორცით და რა მოხდებოდა მე რომ უარი მეთქვა და არ შემესვა სასმისი.

„მიუხედავად ამისა, დიდება მამას, მე ბოლომდე შევსვი და დავასრულე კაცთა ძეთათვის მზადება.“[3]

მე და თქვენ გვწამს, რომ სიძნელეების გადალახვის გზა არის რწმენა იმისა, რომ არის „მალამო გილყადში“[4] და რომ უფალი დაგვპირდა: „არ. . . მიგატოვებთ“.[5] ზუსტად ეს გვასწავლა პრეზიდენტმა თომას ს. მონსონმა - დავეხმაროთ მძიმე განსაცდელის ჟამს მათ, ვისთვისაც ვმსახურობთ, რომ არ იგრძნონ თავი ეულად.[6]

მაგრამ პრეზიდენტმა მონსონმა ასევე ბრძნულად გვასწავლა, რომ ამ დაპირებების დაჯერების რწმენის საფუძველის ჩაყრას დრო სჭირდება. იქნებ თქვენ უკვე ჩემნაირად იგრძენით ამ საფუძველის საჭიროება, როდესაც გინახავთ ვინმე, ვინც მზადაა დამარცხდეს ბრძოლაში და საწოლს მიჯაჭვული უარს ამბობს ბოლომდე გაძლებაზე. თუ რწმენის საფუძველი არ არის ჩანერგილი ჩვენს გულებში, გაძლების ძალა სუსტდება.

ჩემი მიზანია დღეს მოგიყვეთ ის, რაც ვიცი იმის შესახებ, თუ როგორ ჩავყაროთ ეს ურყევი საძირკველი. მე ამას მორჩილად ვაკეთებ ორი მიზეზის გამო. პირველი: შესაძლოა ის, რასაც ვიტყვი, იმედს გაუცრუებს მათ, ვინც დიდი გასაჭირის შუა გულში იმყოფება და გრძნობს, რომ მისი საძირკველი იშლება. მეორე: მე ვიცი, რომ ცხოვრების დასრულებადე ამაზე კიდევ უფრო დიდი გამოცდები მელის. მაშასადამე, რეკომენდაცია, რომელსაც დღეს გთავაზობთ, ჯერ ჩემს საკუთარ ცხოვრებაში ბოლომდე გაძლებით უნდა დავამტკიცო.

ახალგაზრდობაში მე მშენებლობაზე ვმუშაობდი, ჩვენ ახალ სახლებს საძირკველს ვუყრიდით. ზაფხულის პაპანაქებაში ძნელი იყო საძირკვლის მიწის ამოთხრა. მანქანები არ იყო. ჩვენ წერაქვსა და ნიჩაბს ვხმარობდით. იმ დღეებში შენობისთვის მყარი საძირკვლის ჩაყრა მძიმე შრომა იყო.

ამ საქმეში ასევე დიდი მოთმინება იყო საჭირო. ბეტონის ჩასხმის შემდეგ უნდა დავლოდებოდით მის გაშრობას. ჩვენ ძალიან გვინდოდა საქმის წინ წაწევა, მაგრამ შეფიცვრის მოხსნამდე საჭირო იყო ლოდინი.

ახალბედასთვის კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო თითქოს და მოსაბეზრებელი და შრომატევადი საქმე - საძირკვლის გასამაგრებლად ყალიბში ჩაწნული არმატურის ჩადება.

ამის მსგავსად ჩვენი რწმენის საძირკველიც სათუთად უნდა მომზადდეს იმისთვის, რომ გაუძლოს ცხოვრების უამრავ ქარიშხალს. რწმენის მყარი საძირკველი არის პირადი პატიოსნება.

ჩვენს მიერ ყოველთვის სწორი არჩევანის გაკეთება ამყარებს ჩვენი რწმენის საძირკველს. ეს პროცესი შეიძლება დაიწყოს ბავშვობაში, რადგან ყოველი სული იბადება ქრისტეს სულის უანგარო ძღვენით. სულის თანხლების გამო ჩვენ ვიცით, რას ვაკეთებს ისეთს, რაც სწორია ღმერთის თვალში და რა არ არის სწორი.

ასეთი ასობით არჩევანი გვიმზადებს იმ მყარ საძირკველს, რომელზეც ჩვენი რწმენის სასახლე აშენდება. რკინის ჩონჩხი, რომელშიც ჩვენი რწმენის შემცვლელი ბეტონი ისხმება, არის იესო ქრისტეს სახარება, მთელი თავისი აღთქმებით, წეს-ჩვეულებებითა და პრინციპებით.

მყარი რწმენის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, სწორად განსაზღვრო განკურნებისთვის აუცილებელი დრო. აი რატომ ვიყავი ასეთი ბრიყვი, როდესაც ვლოცულობდი უფრო მაღალი დასალმჭრი მთებისთვის და უფრო დიდი გამოცდებისთვის.

განკურნება არ ხდება ავტომატურად დროთა განმავლობაში, მას დრო სჭირდება. ამას მარტო ასაკი არ აკეთებს. ღვთისთვის და სხვებისთვის მთელი გულითა და სულით რეგულარული მსახურება არის ის, რაც გადააქცევს ჭეშმარიტების დამოწმებას გაუტეხავ სულიერ ძალად.

ახლა მინდა წავახალისო ისინი, ვინც მძიმე განსაცდდელის შუა გულში იმყოფება, ვინც გრძნობს, რომ მათმა რწმენამ შეიძლება ვერ გაუძლოს უბედურების შეტევას. თვით უბედურება შესაძლოა იყოს თქვენი განმტკიცებისა და საბოლოოდ ურყევი რწმენის შეძენის ხერხი. მორმონმა, მორმონის ვაჟმა მორმონის წიგნიდან, მოგვითხრო, თუ როგორ შეგვიძლია მივიღოთ ეს დალოცვა. ის გვასწავლის უბრალო და სასიამოვნო ჭეშმარიტებას, რომ ჩვენი მოქმედებისას, რწმენის თუნდაც სულ პატარა ტოტზე დაყრდნობით ღმერთს საშუალებას ვაძლევთ გაზარდოს იგი.

“და ეხლა მე, მორონი, ცოტას ვისაუბრებ ამაზე; მე ვუჩვენებ სამყაროს, რომ რწმენა არის დარწმუნება იმაში, რასაც ვესავთ, დადასტურება იმისა, რასაც ვერ ვხედავთ; მაშასადამე, ნუ კამათობთ, რადგან ვერ ხედავთ, რამეთუ ვერ მიიღებთ დასტურს, სანამ რწმენა თქვენი არ გამოიცდება.

„რამეთუ რწმენის გამო დაენახა ქრისტე ჩვენს მამებს, მის შემდეგ, რაც მკვდრეთით აღსდგა; და არ ეჩვენა მათ, სანამ არ იწამეს იგი; მაშასადამე, უნდა ყოფილიყო ისე, რომ ვინმეს უნდა ჰქონოდა მისი რწმენა, რამეთუ ის არ ეჩვენა სოფელს.

„მაგრამ კაცთა რწმენის გამო ის ეჩვენა სამყაროს, და განადიდა მამის სახელი და მოამზადა გზა, რამეთუ სხვებსაც მიეღოთ ზეციური ძღვენი, და რომ იქონიონ იმედი იმისა, რასაც ვერ ხედავენ.

„მაშასადამე, თქვენც შეგიძლიათ იქონიოთ იმედი და მიიღოთ ძღვენი, თუკი გექნებათ რწმენა".[7]

რწმენის ის პატარა ნაწილი, რომელიც ყველაზე ძვირფასია და რომელსაც უნდა გაუფრთხილდეთ და ყველგან, სადაც შეძლებთ, გამოიყენოთ, არის რწმენა უფლისა იესო ქრისტესი. მორონიმ ასე აგვიხსნა ამ რწმენის ძალა: „და არასდროს არ მომხადარა, არც ერთი სასწაული, სანამ არ გამოაჩინეს რწმენა; მაშასადამე მათ თავდაპირველად იწამეს ძე ღვთისა".[8]

მე ვესაუბრე ქალბატონს, რომელმაც მიიღო სასწაული რწმენა - წარმოუდგენელი დანაკარგის ასატანი ძალა იმით, რომ განუწყვეტლივ იმეორებდა სიტყვებს: „მე ვიცი, ჩემი მხსნელი ცოცხალია".[9] ეს რწმენა და დამოწმების სიტყვები მოდიოდა ბავშვობის ბუნდოვანი, მაგრამ არ დავიწყებული მოგონებებიდან.

მე გამიკვირდა მეორე ქალბატონის ამბავი, რომელმაც მიუტევა ადამიანს, რომელიც წლების განმავლობაში ცუდად ექცეოდა მას. მე ვკითხე, რატომ გადაწყვიტა მან მიეტევებინა და დაევიწყებინა ამდენი წლის განმავლობაში მიყენებული შეურაცხყოფა.

მან ჩუმად მიპასუხა: „რაც კი ცხოვრებაში გამიკეთებია, ეს ყვლეაზე რთული რამ იყო, მაგრამ მე უბრალოდ ვიცოდი, რომ ასე უნდა მოვქცეულიყავი. ამიტომაც ვაპატიე". რწმენამ, რომ მაცხოვარი მიუტევებს მას, თუ ის სხვებს მიუტევებს, მოამზადა იგი სიმშვიდისა და იმედის გრძნობით გარდაცვალებამდე რამოდენიმე თვით ადრე თავისი მოუნანიებელი მოწინააღმდეგის პატიებით".

მან მკითხა: „ზეცაში რომ მოვხვდები, როგორი იქნება იქაურობა"?

მე ვუპასუხე;"იმით რომ ვიმსჯელოთ, რაც მე ვიხილე თქვენი რწმენის გამოვლენასთან და პატიებასთან დაკავშირებით, თქვენთვის ეს შესანიშნავი შინ დაბრუნება იქნება".

მათთვის, ვისაც ეჭვი ეპარებათ იმაში, თუ საკმარისია მათი რწმენა იესო ქრისტესი იმისთვის, რომ გაძლონ ბოლომდე, მაქვს კიდევ ერთი გამხნევება. მე დალოცვილი ვარ იმით, რომ ამჟამინდელ მსმენელთა შორის არიან ისეთნი, ვინც თავის დროზე ახალგაზრდობაში, ენერგიითა და ნიჭით სხვებზე მეტად დაჯილდოვებულნი, გააკეთეს არჩევანი მოიქცნენ ისე, როგორც მოიქცეოდა ქრისტე. თქვენი სიუხვე მიმართეთ მათთვის, ვისთვისაც შეგეძლოთ ზემოდან გეყურებინათ ან არ შეგემჩნიათ ცხოვრებაში თქვენს მიერ დაკავებული ადგილის გამო.

როდესაც მძიმე გასაჭირში ვართ, გაძლების ძალა გვექნება მაშინ, თუკი ჩვენ ქრისტესმიერი წმინდა სიყვარულით ვმოქმედებდით, ვემსახურებოდით სხვებს და მივუტევებდით მათ ისე, როგორც ამას მაცხოვარი იზამდა. თქვენ უყრით რწმენას საძირკველს მაშინ, როცა მხსნელისმიერი სიყვარულით გიყვართ და მისთვის მსახურობთ.

არასდროს არ არის გვიანი განამტკიცო რწმენის საძირკველი. ყოველთვის არის საამისო დრო. მაცხოვრის რწმენით თქვენ შეგიძლიათ მოინანიოთ და ევედროთ მიტევებისთვის. არსებობს ვიღაც, ვისი მიტევებაც შეგიძლიათ. არსებობს ადამიანი, რომელსაც შეგიძლიათ მადლობა გადაუხადოთ. არსებობს ვიღაც, ვისაც შეგიძლიათ ემსახუროთ და სულიერად აამაღლოთ. თქვენ შეგიძლიათ ამის გაკეთება ყველგან და ყოველთვის, მიუხედავად იმისა, თუ როგორ ეულად და მიტოვებულად გრძნობთ თავს.

მე ვერ შეგპირდებით ამ ცხოვრებაში უბედურების გარეშე ცხოვრებას. მე ვერ დაგაჯერებთ იმას, რომ თქვენი სიძნელეები ხანმოკლე იქნება. სიძნელეების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა ამ ცხოვრებაში ის, რომ საათის ისრები იწყებენ შენელებულ მოძრაობას და მერე თითქოს ჩერდებიან.

ამისთვის რამოდენიმე მიზეზი არსებობს. ამ მიზეზების ცოდნა დიდად ნუგეშის მომტანი არ არის, მაგრამ მოთმინების გრძნობას მაინც მოგანიჭებთ. ეს მიზეზები გამომდინარეობს ერთი ფაქტიდან: მამა ზეციერს და მაცხოვარს, თავიანთ სრულყოფილ სიყვარულში, სურთ იყოთ ღირსნი იცხოვროთ მათთან ერთად მარადიულ ოჯახში. მხოლოდ ისინი, ვინც, იესო ქრისტეს გამოსყიდვის მეშვეობით სრულიად განიწმინდებიან, შეძლებენ იქ ყოფნას.

დედაჩემი ებრძოდა კიბოს თითქმის 10 წლის განმავლობაში. მისი გამოცდები იყო მკურნალობა, ოპერაციები და ბოლოს ლოგინს მიჯაჭვება.

მახსოვს მამაჩემის სიტყვები, როდესაც ის შეესწრო მეუღლის ბოლო ჩასუნთქვას: „პატარა გოგო შინ დაბრუნდა დასასვენებლად".

მის დაკრძალვაზე ერთ-ერთი სიტყვით გამომსვლელი იყო პრეზიდენტი სპენსერ ვ. კიმბალი. მან მას პატივი მიაგო და მე დამამახსოვრდა, რაღაც ამდაგვარი: „ზოგი თქვენთაგანი ფიქრობს, რომ მილდრედმა რაღაც დააშავა და ამის გამო ამდენ ხანს იტანჯებოდა". მან შემდეგ გააგრძელა: „არა, უბრალოდ ღმერთს უნდოდა მისი დახვეწა. მე მახსოვს, რომ იმ მომენტში გავიფიქრე: თუ ასეთი კარგი ადამიანი საჭიროებდა დახვეწას, მე რა მელის"?

თუ ჩვენ გვწამს იესო ქრისტესი, ცხოვრების ყველაზე მძიმე და ყველაზე ადვილი პერიოდი დალოცვად იქცევა ჩვენთვის. ყოველ მდგომარეობაში ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ სწორი

არჩევანი სულიწმინდის კარნახით. ჩვენ გვაქვს იესო ქრისტეს სახარება იმისთვის, რომ ვმართოთ ჩვენი ცხოვრება, თუ კი გავაკეთებთ ამ არჩევანს. წინასწარმეტყველების გამოცხადებებით იმის მიმართ, თუ რა ადგილი გვიკავია ჩვენ ხსნის გეგმაში, შეგვიძლია ვიცხოვროთ სრულყოფილი იმედით და სიმშვიდის გრძნობით. არასდროს არ უნდა ვიგრძნოთ, რომ ვართ მარტონი ან უფლის მსახურებაში სიყვარულ მოკლებულნი, რადგან ეს არასოდეს არ ხდება. ჩვენ შეგვიძლია ვიგრძნოთ უფლის სიყვარული. მხსნელი დაგვპირდა მარცხენა და მარჯვენა მხარეს ანგელოზებს, რომლებიც აგვიტაცებენ.[10] უფალი ყოველთვის ასრულებს თავის სიტყვას.

მე ვამოწმებ, რომ ღმერთი არის ჩვენი მამა და ის ცოცხალია. მისი საყვარელი ძე არის ჩვენი მხსნელი. სულიწმინდამ დაადასტურა ჭეშმარიტება ამ კონფერენციაზე და კვლავაც დაადასტურებს მას, როდესაც თქვენ ეძიებთ მას, მოისმენთ და მოგვიანებით შეისწავლით უფლის უფლებამოსილ მსახურებს, რომლებიც ამჟამად აქ იმყოფებიან. პრეზიდენტი თომას ს. მონსონი არის უფლის წინასწარმეტყველი მთელი მსოფლიოსათვის. უფალი ზრუნავს თქვენზე. მამა ღმერთი ცოცხალია. მისი საყვარელი ძე, იესო ქრისტე, არის ჩვენი მხსნელი. მისი სიყვარული ულევია. მე ამას ვამოწმებ იესო ქრისტეს სახელით, ამინ.

შენიშვნები

1. სპენერ ვ. კიმბალი, “Give Me This Mountain,” *Ensign,* ნოემბერი, 1979წ, გვ. 79.
2. მოძღვრება და აღთქმები122:7–9.
3. მოძღვრება და აღთქმები 19:15–19.
4. იერემია 8:22.
5. იესო ნავეს ძის წიგნი1:5.
6. იხილეთ თომას ს. მონსონი, “Look to God and Live,” *Ensign,* მაისი1998წ., გვ.52–54.
7. ეფერი 12:6–9.
8. ეფერი 12:18.
9. “ჩემი მხსნელი ცოცხალია“, ჰიმნები გვ. 136.
10. იხილეთ მოძღვრება და ართქმები 84:88.

© 2012 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი *Visiting Teaching Message, May 2012.* Georgian. 10365 131